**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

01 თებერვალი, 2024 წ.

# აკადემიური საბჭოს
# დადგენილება №06-01/11

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 24 0000094273, 31.01.2024), აკადემიური საბჭოს რეგლამენტისა და 2024 წლის 01 თებერვლის №06-02/03 ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული დებულების (N1 დანართის):

**ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. კონკურსში მონაწილეობის მსურველი **ვალდებულია წარმოადგინოს** კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს **რექტორის ბრძანებით დამტკიცებული** ფორმების და ფორმატის (მატერიალური ან/და ელექტრონული სახით) შესაბამისად:

ა) საპროექტო განაცხადი;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა და გეგმა-გრაფიკი;

გ) მიზნობრივი პროექტების დაფინანსების საერთო ბიუჯეტი, თითოეული პროექტის დაფინანსების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართათვის განსაზღვრული დაფინანსების მოცულობა;

დ) მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობაზე თანხმობის წერილი;

ე) პროექტის მონაწილეთა (პერსონალის) CV-ები;

ვ) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათი (პროექტში ჩართული ბსუ-ს სტუდენტისათვის).“

**ბ) მე-3 მუხლის** მე-3 პუნქტის შემდეგ **დაემატოს შემდეგი რედაქციის 3[1] პუნქტი:**

**„3[1]. ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობაში მიეთითება:**

ა) პროექტის სახელწოდება;

ბ) პროექტის ხანგრძლივობა;

გ) **კვლევის სიახლე და აქტუალურობა** - პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მიმოხილვა, აღწერა, აქტუალურობისა და მეცნიერული სიახლის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 600).

დ) **კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია** - კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, კვლევის მეთოდების აღწერა, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

ე) **კვლევის შედეგები და განვითარების პერსპექტივა** - კვლევის მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება; კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

**გ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, ბსუ-ს აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის პირი ან ბსუ-ს ემერიტუსი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელი იქნება პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე, პროექტის ეფექტურ მართვაზე და ადმინისტრირებაზე. პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) შეიძლება იყოს **ახალგაზრდა მკვლევარი** (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო შვიდი წლის პერიოდში და მუშაობს უნივერსიტეტში);";

**დ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) რომელსაც ბოლო **3 წლის** განმავლობაში აქვს საერთო პუბლიკაცია კონკურსანტთან ან პირი, რომელიც ბოლო **3 წლის** განმავლობაში კონკურსანტთან ერთად მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევით პროექტში;"

**ე) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სხდომები გაიმართოს, როგორც პირისპირ, ასევე შერეული ფორმატით ან დისტანციურად.";

**ვ) მე-6 მუხლის 5[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5[1]. კომისია ვალდებულია გამარჯვებული პროექტის გამოვლენამდე, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად შეფასებული პროექტების ხელმძღვანელები მოიწვიოს სხდომაზე, მათი ხელმძღვანელობით წარმოდგენილი პროექტის პრეზენტაციის წარმოსადგენად, კომისიის წევრების შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ასევე განუსაზღვროს მათ ვადა ტექნიკური ხარვეზის აღმოსაფხვრელად (მაგ: ბიუჯეტის გამოთვლით ნაწილში ან სხვა, არაარსებითი ხარვეზი).";

**ზ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. პროექტის ხელმძღვანელი (მენეჯერი) ვალდებულია პროექტის დასრულებიდან **ერთი წლის განმავლობაში** უზრუნველყოს დასრულებული პროექტის შედეგების გამოქვეყნება Web of Science, Scopus ან Erih Plus (ჰუმანიტარული მიმართულებით) მეტრიკულ ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში (პუბლიკაციის გამოქვეყნებისას მითითებული უნდა იყოს, რომ პროექტი/კვლევა დაფინანსდა ბსუ-ს მიერ).“;

**თ) მე-7 მუხლის მე- 3[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3[1]. პროექტის დასრულებიდან **ერთი წლის** შემდეგ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ წერილობითი ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელმა **პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა** უნდა წარუდგინოს რექტორს. აღნიშნული ინფორმაცია და მასალები განსახილველად გადაეცემა ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს.’’;

**ი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-6 პუნქტი:**
,,6. წინამდებარე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საერთაშორისო რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალში ბსუ-ს მიზნობრივი პროექტთან დაკავშირებით სტატიის გამოქვეყნების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშების და წერილობითი ინფორმაციის **(მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათის)** საფუძველზე ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ამ პროექტის ფარგლებში მიღებული შრომის ანაზღაურების **სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების თაობაზე** ან/და მომდევნო **1 ან 2 წლის განმავლობაში** ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით მისაღები შეღავათების გაცემაზე შეზღუდვის შესახებ (პროფესიული განვითარების ღონისძიება ან სტატიის გამოქვეყნებაზე წახალისების ღონისძიება და სხვა).“;

**კ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. სამეცნიერო–კვლევითი პროექტის განხორციელების მაქსიმალური ვადა არის **2 წელი.** წინამდებარე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში (ფორსმაჟორი) პროექტის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.“;

**ლ) მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,გ) მხოლოდ პროექტის ხარჯთაღრიცხვაში პროექტის საერთო ბიუჯეტის არაუმეტეს **15%-ის** ფარგლებში ცვლილების შემთხვევაში - რექტორთან შეთანხმებით გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.“;

**მ) მე-8 მუხლის შემდეგ დაემატოს მე-9 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 9. გარდამავალი დებულებები**

აკადემიური საბჭოს დადგენილებით დასაშვებია **2024 წლის განმავლობაში** გაგრძელდეს **2023 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი საუნივერსიტეტო პროექტის განხორციელება,** პროექტის განახლებული ბიუჯეტის (დარჩენილი/გაუხარჯავი ნაშთის) და პროექტის განახლებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, პროექტების ხელმძღვანელის

და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობით.“

**ნ) ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი (ამოღებული იქნეს)** ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისშესარჩევი კონკურსის დებულების N1-4 დანართები და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციები ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (ვიზირებული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ).

2. დადგენილება და კოდიფიცირებული ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტისშესარჩევი კონკურსის დებულება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარი).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**